

მომინანქრება



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი)

სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა:

საიუველირო საქმე / Jewellery პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი
სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 02120-პ.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე :

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მომინანქრებაში/Basic Vocational Qualification in Enamelling;

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაციები განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი: 0214, აღმწერი - „შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს“.

მიზანი:

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს საიუველირო საქმის სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება მომინანქრების მიმართულებით.

დაშვების წინაპირობა:

- საბაზო განათლება

ჩარიცხვის პროცედურები:

- პროფესიული ტესტირება - (სივრცითი უნარები და ხელოვნება)

პროგრამის ხანგრძლივობა დროში:

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 44 კვირა;
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 54 კვირა;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

მომინანქრებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს მემინანქრედ. პირს ასევე აქვს საშუალება დასაქმდეს თვითდასაქმების ფორმით. საბაზო განათლება

კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით უმაღლესი განათლების სისტემაში საიუველირო ხელოვნების მიმართულებით.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები:16.29; 16.29.0;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7313; 7319;

სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამურად 16 კრედიტის რაოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით და 4 პროფესიულ მოდულს ჯამური 29 კრედიტის რაოდენობით.

მომინანქრებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 61 კრედიტი.

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 61 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 44 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 76 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 54 კვირა;

ზოგადი მოდულები

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	მეწარმეობა 1	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	სამოქალაქო განათლება	2
6.	უცხოური ენა - ინგლისური	4
სულ		16
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	საიუველირო საქმის გაცნობითი პრაქტიკა	3
2.	საიუველირო საქმის მასალათმცოდნეობა	3
3.	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები	4
4.	ხაზვა - ქვის, ხის და ლითონის მხატვრული დამუშავებისათვის	3
5.	საიუველირო ხელოვნების ისტორიის საწყისები	1
6.	სამუშაოს ორგანიზება საიუველირო საქმეში	2
სულ		16
„მომინანქრების“ პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	პრაქტიკული პროექტი მემინანქრეობაში	5
2.	ტიხრული მინანქრის ნაკეთობათა დამზადება	15
3.	მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკით ნაკეთობათა დამზადება	8
4.	ძველი ქართული ტიხრული მინანქრის შესრულების ტექნიკა	1
	ჯამი:	29
	სულ:	61

სტუდენტის შეფასების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები:

1. სტუდენტის შეფასების წესი - იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი მუხლი 10.
2. კვალიფიკაციის მინიჭების პირობები - იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი მუხლი 14.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებები:

- ✚ შპს „არტ ვინო გალერეა“
- ✚ შპს „ვაჟა ქუთათელაძე“
- ✚ „G.ART სტუდიო“

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის

შედეგები: კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შექმნას ნაკეთობის მომინანქრების ესკიზი
- შეარჩიოს ნაკეთობისთვის საჭირო მასალები
- შეარჩიოს საჭირო ინსტრუმენტები და იარაღები
- შეასრულოს ტიხრული მინანქრის ტექნიკით სასუვენო, საიუველირო და სხვა სახის ნაკეთობა
- გამოიყენოს მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკა ნაკეთობათა დამზადებისას
- განახორციელოს მინანქრის ნაკეთობის შესრულებაზე დავალების/დაკვეთის მიღება-გაფორმება, კალკულაცია;
- დაგეგმოს და და განახორციელოს ნაკეთობის რეალიზაციაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

პროგრამის დასრულების შემდგომ გასაცემი დოკუმენტი:

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი დანართთან ერთად.